

# იკონურობა ქართულ ჟესტურ ენაში<sup>1</sup>

თამარ მახარობლიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

Tamar.makharoblidze@iliauni.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2023.07>

*ჟესტურ ენებში საკმაოდ ხშირია ისეთი არსებითი სახელები (და ასევე სხვა მეტყველების ნაწილებიც), რომლებიც ასახავენ საგნის (ანუ აღსანიშნის) რამე მახასიათებელ თვისებას ან ნიშანს, ან მასთან დაკავშირებულ მოქმედებას. ეს გარემოება გვიჩვენებს აღსანიშნისა და აღმნიშვნელს შორის არსებულ დადასტურებულ კავშირს (ანუ აღსანიშნის განპირობებულობას) ჟესტურ ენებში. ამ ტიპის ჟესტებს იკონური ჟესტები ეწოდებათ.*

**საკვანძო სიტყვები:** იკონურობა ჟესტი „ჩაქუჩი“

უნდა ითქვას, რომ იკონური ჟესტების არსებობის წყალობით, საკმაოდ მაღალია ურთიერთგაგებინების მაჩვენებელი იმ ყრუ პირთა კომუნიკაციაში, რომელთაც ერთი საერთო ჟესტური ენის ცოდნა არა აქვთ. ამრიგად, ჟესტების იკონურობით აისხნება ის ფაქტი, რომ ორი ყრუ პირი უფრო ადვილად უგებს ერთმანეთს, რასაც ასე კარგად ვერ ახერხებს სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ორი მეტყველი ადამიანი.


სხვადასხვა ჟესტურ ენაში სხვადასხვა რაოდენობის იკონური ჟესტები შეიძლება იყოს. ქართულ ჟესტურ ენაში, ლექსიკონის მონაცემებით, იკონურობა არის 75-80% . ზოგადად, რაც უფრო მაღალია ყრუთა თემის განათლების დონე, მით მეტია მეტაფორული და აბსტრაქტული ფორმატის, ანუ არაგანპირობებული ჟესტების რაოდენობა მათ ენაში. აქვე უნდა აღინიშნოს ის სამწუხარო გარემოებაც, რომ არაპროფესიული აქტივობების ხარჯზე, ქართული ჟესტური ენის ლექსიკის შევსება ძირითადად ხდება მხოლოდ იკონური ფორმებით.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, იკონურობა გადმოსცემს აღსანიშნის თვისებას ან ნიშანს. ეს ხშირად შეიძლება ასევე იყოს მისი ფორმა ან ფუნქცია. მაგალითისთვის განვიხილოთ ჟესტი ‘ჩაქუჩი’:

---


<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [ FR-22-254. ქართული ჟესტური ენის სახელთა მორფოლოგია]

## ჩაქუჩი – ხისტარიანი დასარტყმელა რკინის იარაღი



ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

ეს ჟესტი არის ფუნქციის მიხედვით იკონური, რამდენადაც პანტომიმურია ამ საგნით შესრულებული მოქმედება. საგნის ფუნქცია რეალურად არის ამ საგანთან დაკავშირებული მოქმედება. აქ უკვე დგება მეტყველების ნაწილების გამიჯვნის პრობლემაც. არსებითი სახელი და ზმნა, შესაძლოა, ერთი და იმავე ჟესტით, ან ძალიან მსგავსი ჟესტებით იყოს წარმოდგენილი. მაგალითისთვის ერთმანეთს შევადაროთ ჟესტები 'კალამი' და 'წერა', 'კითხვა' და 'წიგნი', 'კოვზი' და 'ჭამა', 'ფოტოაპარატი' და 'გადაღება'.



### კალამი – საწერი საშუალება

ერთხელიანი, დინამიკური, იკონური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი საჩვენებელი თითი და ცერი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, კლავნილი ტრაექტორიით სრულდება მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**წერა** – ასობის გამოყვანა ქაღალდზე ან სხვა საწერ მასალაზე

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური ჟესტი, ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, მარცხენა ხელისგულის ზემოთ განთავსებული მარჯვენა ხელისგული მიმართულია ქვევით, ცერი ეხება გაშლილი და ზედა ფალანგებში ერთად მოხრილი თითების წვერებს, სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

ეს ორი ჟესტი წერის სემანტიკის გამომხატველი პანტომიმური ჟესტებია. ჟესტურ მეტყველებაში ხშირად პირველი ჟესტი გამოიყენება მეორის მნიშვნელობითაც, ხოლო გაბმულ ჟესტურ პროცესში, შესაძლოა, მეორე ჟესტმა დაკარგოს ორხელიანობა და მხოლოდ დომინანტი ხელით იყოს მოცემული, რითიც უფრო მეტი იქნება მსგავსება ამ ჟესტებს შორის.



**კოფზი** – მცირედ ჩაღრმავებული ტარიანი მოგრძო საგანი ფქვილის, სითხის, ფაფისა და წვნიანი საჭმლის ასაღებად ერთხელიანი, დინამიკური, პანტომიმური ჟესტი, ქვევით და მარცხნივ მიმართულია სახის წინ განთავსებული ხელისგული მუშტად შეკრული

თითებით, საჩვენებელი თითი ცერზეა შემოხვეული, სრულდება განმეორებადი, წრიული




მოდრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და სახის დონეზე.+

**ქამა** – საკვების მიღება, საჭმლის პირში მოქცევა, ღეჭვა და ყლაპვა

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება გაშლილი და სხეულისკენ მიმართული თითების წვერებს, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან, ხელი ეხება ტუჩებს. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

ეს ორი ზემოთ მოყვანილი ჟესტი 'კოვზი' და 'ქამა' ორივე ერთხელიანია და სრულდება პირის წინ. ხშირად პირველი ჟესტი მოიცავს მეორის ('ქამის') მნიშვნელობასაც.



**წიგნი** – ერთად აკინძული ტექსტის შემცველი ნაბეჭდი ფურცლები ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, იკონური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ერთმანეთთან ახლოს განთავსებული ხელისგულები გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის სიქრონული, განმეორებადი, განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ, მომდევნო ფაზაში ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური, იკონური ფორმაა, ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული მიმართულია ქვევით და სხეულისკენ, გაშლილია ცერი, საჩვენებელი

და შუა თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**(წა)კითხვა – დაწერილი (დაბეჭდილი) ტექსტის გაცნობა**

ორხელიანი, დინამიკური, სიმეტრიული ჟესტი, ზევით მიმართულია ნეკებით ერთმანეთზე მიდებული ხელისგულები გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებითი, მონაცვლეობითი მოძრაობა წინ და უკან. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე. ამ ბოლო წყვილში ('წიგნი' და 'წაკითხვა') პირველი ჟესტის პირველი ნაწილი დინამიკის მეორე ფაზაში უკვე გაშლილი ხელისგულებით, ანუ წიგნის იკონური ფორმით სრულიად იმეორებს მეორე ჟესტის ('წაკითხვა') კონფიგურაციას. აქ განსხვავებულია მხოლოდ მოძრაობა. როგორც ვხედავთ, ზემოთ წარმოდგენილი იკონური ფორმები მეტნაკლებად იდენტური ჟესტებია და აქ მხოლოდ მცირედი ფონოლოგიური სხვაობა შეგვიძლია შევნიშნოთ რიგ შემთხვევებში. ზოგადად, ბევრ ჟესტურ ენაში იდენტურია ფორმები ისეთი იკონური ჟესტებისთვის როგორებიცაა 'დარეკვა' და 'ტელეფონი', 'ფოტო' და 'ფოტოგრაფირება', 'კალამი' და 'წერა' და სხვა ამ ტიპის სემანტიკურ ურთიერმიმართებაში მყოფი ჟესტები. აღსანიშნავია, რომ იკონურობის საკითხი უკავშირდება კლასის კატეგორიის თემას. მაგალითად, ადამიანი დადის ორი ფეხით, ხოლო ცხოველი - ოთხით. აქედან გამომდინარე, თუ ვიტყვით 'ის მოვიდა' აქ გვექნება სრულიად განსხვავებული ჟესტები ზმნისთვის, იმის მიხედვით ადამიანზეა საუბარი თუ ოთხფეხზე, თუ

მანქანაზე. ეს გარემოებაც იკონურობის მოვლენას უკავშირდება. მე შევიმუშავე ფორმულა, რითიც შეგვიძლია გამოვთვალოთ იკონურობის მაჩვენებელი ჟესტურ ტექსტებში.

$$N = \frac{IS}{T}$$

N - იკონურობის კოეფიციენტი

T - ტექტის ხანგრძლივობა

IS - იკონური ფორმების რაოდენობა მოცემულ ტექტში.

იკონურობის კოეფიციენტი უდრის იკონური ფორმების რაოდენობა მოცემულ ტექსტში შეფარდებულს ამ ტექსტის ხანგრძლივობაზე.

### ლიტერატურა:

- მახარობლიძე თამარ (2016) ქართული ჟესტური ენის დოკუმენტირების შესახებ. „ენა და კულტურა“ #15. ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდი. ქუთაისი. გვ.79-85
- მახარობლიძე თამარ (2015) ქართული ჟესტური ენის ლექსიკონი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. თბილისი. ISBN 978-9941-16-225-5 1368 გვ
- მახარობლიძე თამარ (2012) ქართული ჟესტური ენა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. USIAD, Save The Children International. თბილისი 610-გვ.
- მახარობლიძე თამარ (2015) ქართული ჟესტური ენის ლექსიკის შესახებ. იკე, ტ. 43. ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბილისი. 2015 გვ.116-144
- მახარობლიძე თამარ (2014) ქართული ჟესტური ენის დოკუმენტირების პროცესი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში -2“. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2014
- მახარობლიძე თამარ (2014) ქართული დაქტილური ანბანი. იკე, ტ. 42. ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბილისი. 2014
- Demey, E. & van der Kooij, E. (2008). Phonological patterns in a dependency model: Allophonic relations grounded in phonetic and iconic motivation. *Lingua*, 118, 1109–1138.
- Emmorey, K., Grabowski, T., McCullough, S., Damasio, H., Ponto, L., Hichwa, R., & Bellugi, U. (2004). Motor-iconicity of sign language does not alter the neural systems underlying tool and action naming. *Brain and Language*, 89, 27–37.

- Meir, I. (2010). Iconicity and metaphor: Constraints on metaphoric extension of iconic forms. *Language*, 86. 865–986.
- Perniss, P., Lu, J. C., Morgan, G., & Vigliocco, G. (2017). Mapping language to the world: The role of iconicity in the sign language input. *Developmental Science*, 21(2), e12551.
- Taub, S. (2001). *Language from the Body: Iconicity and Metaphor in American Sign Language*. Cambridge: Cambridge University Press.

**Tamar Makharoblidze**  
Ilia State University

### **Iconicity in Georgian Sign Language (GESL)<sup>2</sup>**

In sign languages, there are the signs reflecting some characteristic features of the semantics of a given part of speech (mostly nouns or verbs). This circumstance shows the proven connection between the sign and the signifier in sign languages. These types of signs are called iconic. They are easy to recognize, and thanks to these iconic signs, the rate of mutual understanding in the communication of Deaf and hard of hearing people who do not have knowledge of a common sign language is quite high. Thus, the iconicity of signs reflects the fact that two deaf people can understand each other more easily than two speaking people if they do not have the knowledge of a common spoken language for communication. Different sign languages can have different number of iconic signs. In Georgian sign language (GESL), according to the GESL dictionary, iconicity is 75-80%. In general, the higher the level of education of the Deaf community, the more metaphorical and abstract gestures are used. It should also be noted that due to non-professional activities, unfortunately, in the last period the vocabulary of GESL is filled mainly with iconic forms.

I have developed a formula by which we can calculate the iconicity rate in sign texts (signing communication):

$$N = \frac{IS}{T}$$

---

<sup>2</sup> *This work was supported by Shota Rustaveli National Scientific Foundation of Georgia (SRNSFN) OFR-22-254. The Georgian Sign language nominal morphology]*

N mean a coefficient of iconicity, T is the duration of the sign text, IS - is the number of iconic forms in the given signing text. Iconicity coefficient is equal to the number of iconic forms in a given text divided by the duration of this text.

**რეცენზენტი:** პროფესორი თამარ ლომთაძე